# პატარა მურია

რას წუკწუკებს ის პატარა მურია?
ხომ არ ჰშია და ან ხომ არ სწყურია?

ვისი არის და ან სადაურია?
ქუცი, ქუცი! კუდქიცინა მურია!

რომ არ მოდის?!. თითქოს უმადურია!
რა ყოფილა, ხედავთ, ზრიყვი მურია?!

კიდეც რომ ჰყეფს?!. რაღაც უცნაურია!
თათი, თათი, სალახანავ მურია!

მისი ყეფა მხოლოდ მარტო შურიაუ
ვის აშინებს სასაცილო მურია?!

მაგის ხერხი დ ერთი ლუკმა პურია:
გადაუგდებ, გაჩუმდება მურია.

ვინც გააძღებს მისი შინაურია,
იმას ჰმონებს და კუდს უქნევს მურია

ან კი რა ქნას? ბუნებით უძლურია!
ქუცი, ქუცი! საცოდავო მურია!..

ლაქუცაა კუდქიცინა მურია,
თუ არ ჰშია და ან არცა სწყურია.

1888 წ.